

**ირლანდიას უთენდება
(1881 წელი, გაზეთი „დროება“)**

წერილი პირველი

დღეს ქრისტეს აღდგომის გამო ყველა ქრისტიანს სიხარული მართებს; მაგრამ გული უარზედ დგას და სიხარული არა ხერხდება.

საკვირველიც არ არის: ჯერ კიდევ გონებას მაჯლაჯუნასავით აწევს საზარელი მკვლელობა გლეხთა განმათავისუფლებელი ხელმწიფისა თავის საშინელი შედეგებითა; თვალეში უნებლიედ გელანდება ხუთი თეთრი სუდარა სიმონოვის მოედანზედ, რომელნიც ჰვარავენ საშინელს სახეს ხუთის ინტელიგენტის სიკვდილისასა. ჯერ კიდევ მთელს ჩვენ სახელმწიფოში სუფევს სულის შემხუთავი და ტყვიასავით მძიმე ატმოსფერა... საიმედო, სწორე გასავალი ამ შემადრწუნებელი ჭაობიდგან ჯერედ არსაიდგან ჩანს. ნამდვილს იმედს, მტკიცე სასოებას ჩვენში ფეხი ვერ მოუკიდნია. დიახ, რუსეთს ამაზედ უარესი აღდგომა თავის დღეში არ გასთენებია.

რუსეთი რომ ერთადერთი სახელმწიფო იყოს დედა-მიწის ზურგზედ, დღევანდელი ბედნიერი დღესასწაულიც ვერ შეასუსტებდა ადამიანის გულში სასო-წარკვეთილებას, ღრმა ნალველს და სიცოცხლის სიძულვილსა. მაგრამ, სანუგეშოდ, რუსეთი მხოლოდ ერთადერთი კუთხეა ხმელეთისა, ისიც კულტურულს ცენტრს მოშორებული, მხოლოდ ერთი ნაწილია კაცობრიობისა, ისიც მეტად უკან ჩამორჩენილი და ბევრი სხვა კუთხეები, სხვა ნაწილები სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენენ. არა ერთს დაჩაგრულ ერს უთენდება დღეს ბედნიერი აღდგომა, არა ერთი დავრდომილი კუთხე შეჰხარის დღევანდელის ზარის რეკას იმედით და სასოებით.

მოვნახოთ იმისთანა დაჩაგრული კუთხე, რომელსაც დღეს უღელი უმსუბუქდება, ახალი ცხოვრების იმედით ივსება, და მის ნუგეშს და სიხარულს ჩვენც ბანი მივცეთ, თანაგრძნობა გამოუცხადოთ.

წასვლა ცოტა შორს მოგვიხდება.

ევროპის განაპირას, ატლანტიის ოკეანეზე, სძევს ერთი მოზრდილი კუნძული, რომელიც ბუნებისგან მდიდრად არის შემკული ყოველი სიკეთით. ნოყიერი ნიადაგი, სიუხვე წყლისა და განუწყვეტელი სითბილე ჰაერისა ჰხდიან საუცხოვო ქვეყნად ამ კუნძულსა. ის ზამთარ-ზაფხულს ისეა შემოსილი მწვანე ხავერდით, რომ დაიმსახურა სახელი „ზურმუხტის კუნძულისა“.

სახელი ამ კუნძულისა არის ირლანდია.

თუმცა ირლანდიელის ერის სამშობლო ქვეყანა ყოვლის ფრით შემკულია; მაგრამ მას, თავის მეზობლის ინგლისის წყალობით, სამასი წლის განმავლობაში ერთი სასიხარულო აღდგომა არ გასთენებია. მხოლოდ ახლა, ამ უკანასკნელს ჟამს იმის ცხოვრებაში ამოაშუქა შეღავათის, ლხენის სხივმა და მრავალ-ტანჯული ხალხი აავსო იმედით, სასოებით და წლევანდელი აღდგომა ბედნიერ დღედ გარდაუქცია. ამ სხივს შეადგენს ბილლი, რომელიც სახელოვანმა გლადსტონმა წარუდგინა პარლამენტსა და რომელსაც შეუძლიან ძირეულად შესცვალოს ამ დაჩაგრულ ხალხის მდგომარეობა.

ირლანდიის ისტორიაში განირჩევა ორი დიდი პერიოდი, ხანა: პირველს პერიოდს შეადგენს დამოუკიდებლობის დრო; მეორე პერიოდს ქვეშევრდომობის ჟამი. მათ შუა ისეთივე განსხვავება არსებობს, როგორც სამოთხესა და ჯოჯოხეთს შუა. მანამ ირლანდიას ჰქონდა დამოუკიდებელი არსებობა, მანამ იგი ცალკე, თვით მდგომარე სახელმწიფოს შეადგენდა, მისი ერის ცხოვრება სწორედ ისევე ჰყვავდა, როგორც მისი მუდამ დაღანა კუნძული. ამ ბედნიერების კეთილ-დღეობის ქვა-კუთხედ იყო გლეხობის სრული უფლება მიწა-წყალზედ. მთელი მამულ-დედული ირლანდიისა ეკუთვნოდა მის მშრომელს ხალხსა, რომელიც დაყოფილი იყო პატარ-პატარა საზოგადოებებად, კლანებად და მიწა-წყალი საერთო, საზიარო ჰქონდა. მთელი კუნძული გაჭიკნილი იყო ბედნიერი მცხოვრებლებით, რომელთა რიცხვი ათს მილიონს აღემატებოდა, კულტურა, განათლება ისე მაღლა იდგა ირლანდიაში, რომ მისი მეზობელი ინგლისი ბევრის მხრით მოწაფე იყო მისი და მისგან იღებდა მეცნიერებას და განათლებასა, როგორც ამბობს, სხვათა შორის, რეკლიუ.

მაგრამ, როცა ინგლისი, სამი ირლანდიის ოდენა, დაესხა მას თავსა, სძლია და დაიმორჩილა, ირლანდიის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. „დამორჩილებას ირლანდიისას ინგლისისაგან პირველზე ისეთივე ზეგავლენა ჰქონდა, ამბობს რეკლიუ, როგორც ბარბაროსების თავდასხმას ევროპაზედ“.

ამ დამორჩილების უღელმა შეაჩერა აღმაფრენა და თავისუფალი განვითარება ირლანდიის ერის გენიისა; დამოუკიდებლობასთან ირლანდიელთა დაჰკარგეს ყველა უფლებანი და უპირატესობანი, რომელნიც თავისუფლებასთან შეხორცებულნი არიან. ყველაზედ დიდი ბოროტება ინგლისმა ირლანდიას მიაყენა იმითი, რომ გლეხობას ჩამოართვა მამულ-დედული და დაუსაკუთრა თავის ლორდებს, მებატონეებს, სწორედ ისე, როგორც ჩვენში ალექსანდრე მაკედონელის დროს იაზონის მხედართა დაისაკუთრეს გლეხების მამულ-დედული.

ამ დღიდან წინედ ეკონომიურად თავისუფალი, შეძლებული გლეხობა შეიქმნა ყურ-მოჭრილი ყმა ლორდებისა. სახნავ-სათესში, სამოვარში და ტყეში იმდენი იჯარა უნდა ეძლია ირლანდიელს გლეხს, რავდენიც მემამულეს ქეიფი იყო. რაიმე მესამე ძალა მათ შუა ვერ ჩამოდგებოდა და ვერ გამოესარჩლებოდა გლეხსა, რაც უნდა უსამართლობა მიეყენებინათ მისთვის. მებატონე ინგლისელს ნება ჰქონდა, როცა მოინდომებდა, მეიჯარადრე გლეხი აეყარა მისი ბინიდან, გაეგდო თავისი მამულიდან და ღვთის ანაზარად დაენარჩუნებინა.

ადვილად წარმოსადგენია, რა საშინელი შედეგი უნდა ჰქონოდა ამ გვარ უდიერობას, უღმობელ მდგომარეობას. ხალხი თანდათან დაღარიბდა, გადატაკდა, ჯეროვანს საზრდოს მოაკლდა, პურის ნატრული შეიქმნა, უნოყიერო და უყუათო კართოფილის ამარა დარჩა და ხშირად შიმშილით იჟლიტებოდა. ბევრმა თავს უშველა ამერიკაში გადასახლებით, ბევრი გახდა მსხვერპლი ეკონომიურის მონობისა. ქვეყანა ნახევრობით დაცალიერდა, ასე რომ ამ ჟამად ათი მილიონის მაგივრად მთელს ირლანდიაში ოთხ მილიონამდე მცხოვრები ძლივს მოიპოვება.

ამ გვარი მოპყრობა ინგლისელთა ირლანდიის ერთან ერთელ კიდევ ცხადად გვიჩვენებს, რომ განათლება, კაცთ-მოყვარეობითი მიმართულება, ჰუმანიური პრინციპები ჯერედ დაწინაურებულს კაცობრიობის ნაწილსაც კი მხოლოდ ენაზედ ადგია და ძვალრბილში არ ჩაუტანებია. ახლანდელი კაცობრიობა უფრო მხეცთა გროვას წარმოადგენს, მანამ სათნო ადამიანთ საზოგადოებასა. ჯერედ მის მოქმედებას და ნებას მართავს ძველი დევიზი: „ვაგლახი ძლეულთა“. ჯერედ იგი

ფიქრობს სწორედ ისევე, როგორც ფიქრობენ ბარბაროსები: რაკი მოგერიე და ხელში ჩაგიგდე, თვალსაც მოგთხრი, ტვინსაც ამოგწოვ და ძაღლივით დაგახრჩობო.

ილაჯ-გაწყვეტილმა ირლანდიის ხალხმა თავისი უდიერი მდგომარეობა ველარ მოითმინა და ამ საუკუნეში, კვენესის და ჩივილის მაგიერ, რომელმაც ყურიც არავის არ გააბერტყინა, ხშირად იწყო მღელვარება, შფოთვა, მუქარა, იარაღის ხმარება, შეუპოვარი წინააღმდეგობა ინგლისისა და ჩუმად, ჩასაფრებით ჟლეტა მემამულე ლორდებისა. ამ გვარი მოქმედებით ისე გაუჭირა საქმე ინგლისსა და ისეთს მოუსვენარს მდგომარეობაში ჩააგდო, რომ იგი იძულებული გახდა აღარ გაეწია წინააღმდეგობა იმათთვის, რომელნიც ცდილობდენ ირლანდიის მდგომარეობის შეცვლას, გაუმჯობესებას.

ინგლისელ სახელმწიფო პირთა შორის ირლანდიას უფრო მომეტებული მოყვრობა და გულწრფელი თანაგრძნობა აღმოუჩინა გლადსტონმა, რომელმაც მოახდინა თავის ხანგრძლივ ღვაწლიან სიცოცხლეში არა ერთი სასარგებლო და სასიქადულო რეფორმა ირლანდიის შესახებაც. მაგრამ არც ერთი წინანდელი რეფორმა არ შეედრება იმ რეფორმას, რომლის პროექტი ამ დღეებში მან წარუდგინა პარლამენტს მისაღებად და დასამტკიცებლად. ეს იმგვარი რეფორმაა, რომელიც ეხლავე ფეხზე დააყენებს ირლანდიის გლეხობას და ახლო მომავალში ისე ძირეულად შეცვლის მის სოციალურს მდგომარეობას, რომ ირლანდიის მამულ-დედული მთლად გლეხობასვე ჩაუვარდება ხელში. ეს რეფორმა ირლანდიის მემამულეებს თითქმის სრულიად ხელს უკრავს და ართმევს გლეხების შევიწროების ღონისძიებას. გლადსტონის ბილლის ძალით ლორდებს უფლება აღარ ექნებათ, რომ ღალა თავის ნებით გადუჭრან გლეხსა, თავის ნებით დაითხოვონ ის მამულიდგან და თავის ნებით მოუშალონ მას ბინა. ამ საქმეების გამგებლად არსდება განსაკუთრებითი კომისია მედიატორებისა; ამ კომისიამ უნდა გადაჭრას ხოლმე ღალა თხუთმეტის წლობით, რომლის განმავლობაში მებატონეს კრინტიც არ შეუძლიან დასძრას ღალის მომატებაზედ. გლეხს ნება ეძლევა, ყოველ შევიწროებაზედ, რომელსაც მას მემამულე მიაყენებს, უჩივლოს მას კომისიაში და მიიღოს დაკმაყოფილება. გლეხებს ეძლევა კიდევ ის ნება, რომ იჯარით აღებული მამული თავის შენობებით მიჰყიდოს სხვასა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მსყიდველმა გადაჭრილი ღალა აძლიოს მემამულესა.

მაგრამ ყველაზე დიდ-მნიშვნელოვანი მხარე ამ რეფორმისა ის არის, რომ კომისიას ვალად ედება შეისყიდოს ლორდების მამულები, პატარ-პატარა ნაწილებად დაჰყოს და მიჰყიდოს გლეხებსა იმ პირობით, რომ მათ ყოველ წლივ ცოტ-ცოტათი ეს ვალი გადაიხადონ ოცი, ოცდაათი წლის განმავლობაში. საჭირო ფული მამულების სასყიდლად კომისიას უნდა მისცეს ინგლისის პარლამენტმა.

რაც შეეხება რეფორმის გამარჯვებას, ამაში ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რადგანაც ინგლისის და ირლანდიის საზოგადოება, ჟურნალ-გაზეთები და თვით პარლამენტი სიხარულით მიეგებნენ გლადსტონის ბილლსა. ლორდების პალატას, რასაკვირველია, ვერაფრად ეპიტნავება ეს რეფორმა; მაგრამ წინააღმდეგობას მაინც ვერ გაბედავს ჯერ იმიტომ, რომ მემამულეების ჟლეტამ ირლანდიაში შეაშინა და ჭკუა ასწავლა მათ, და მეორედ იმიტომ, რომ სამინისტროს ღონისძიება აქვს ზემო პალატის წინააღმდეგობა გააუქმოს, მეტადრე ეხლა, როდესაც ლორდების ბელადმა ბიკონსფილდმა თქვენი ჭირი წაიღო.

რავდენად ლიბერალურია გლადსტონის ბილლი ცხადად გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ირლანდიელმა რადიკალმა პარნელმაც კი აქო ის ერთ მიტინგზედ და გამოაცხადა სრული იმედი, რომ ეს ბილლი რავდენსამე წელიწადს გააუქმებს ახლანდელს შემავიწროებელს მდგომარეობას ირლანდიისასაო და მის კეთილდღეობას მტკიცე გზაზე დააყენებსო. ღმერთმა ინებოს. ერთი დაჩაგრული ხალხის კვნესა მაინც მოაკლდება ამ ცოდვილს დედა-მიწასა.

წერილი მეორე

გლადსტონის ბილლს ირლანდიის შესახებ ბრძოლა უნდა გამოეწვია და ასეც მოხდა. ბრძოლა უკვე ასტყდა და გაჰყო ორ მოწინააღმდეგე დასად არა მარტო ინგლისის ერი, არამედ მთელი ევროპის საზოგადოება. ერთ დასს შეადგენენ მემამულენი და მექარხნენი, ანუ მეფაბრიკენი, და უკან ჩამორჩენილი ჟურნალ-გაზეთები, მეორე დასში ირიცხებიან: მუშა ხალხი, გლეხობა და დაწინაურებული რაზმი მწერალთა და განათლებულთა. პირველი დასი მტრულის თვალთ უცქერის გლადსტონისაგან მოწადინებულს ცვლილებას და ცხარე წინააღმდეგობისთვის ემზადება, მეორე მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს ბილლის ავტორსა და ყოველს ღონისძიებას იხმარს მისი გამარჯვებისათვის.

აშკარაა, რისთვის ეწინააღმდეგებიან გლადსტონის ბილლსა ლორდები, მემამულენი. იგი ამ ვაჟბატონების საკუთრების უფლებას მამულზე, აქამდინ უსაზღვრელს, ვიწროდ საზღვრავს; მათ გაუმაძღარს თვალს და ჯიბეს ბევრს აკლებს, მოღალე გლეხები გამოჰყავს მათი ყურმოჭრილი მონობიდან და გაუმაძღარს მადას მემამულეებისას ლაგმავს. მაგრამ მექარხნეებს რაღად ეწვით კუდი და რა სჯით? ზომიერ რესპუბლიკურს გაზეთებს საფრანგეთისას რად არ ეპიტნავენათ გლადსტონის ბილლი და რატომ აღიმადლეს ხმა მის წინააღმდეგ?

გლადსტონის ბილლს სოციალური თვისება აქვს, სოციალური ცვლილების ქვაკუთხედს სდებს. აი მიზეზი, რის გამოისათაც ბურჟუაზია მხარს აძლევს და ეხმარება ამ საქმეში ლორდებს, მემამულეებს.

მოგეხსენებათ, აწმდგომი წესწყობილება კაცობრიობისა იმ გვარია, რომ გლეხობა და მუშა ხალხი მთლად დამოკიდებულია, სრულიად დამონავებულია მემამულეებისა და მეფაბრიკეებისაგან, რომელნიც მათი გაჭირვებით სარგებლობენ და შრომის ფასს, რაც-კი შეიძლება, ნაკლებს აძლევენ. ხალხი დილიდან საღამომდინ შრომობს, წელეზედ ფეხს იდგამს, მაგრამ უმეტესი, დიდი ნაწილი მისი შრომის ნაყოფისა ჩადის მიწისა და ფულის პატრონების ჯიბეში, რომელნიც უმეტეს წილად დროს ცუდაობაში ატარებენ. როდესაც გლეხნი და მუშანი განიცდიან ყოველს გვარს გაჭირვებას, მოკლებულნი არიან ადამიანურს ცხოვრებასა, ითმენენ შიმშლს, სიტიტვლეს, უბინაობას და ცხრად არიან წელში მოკაკულნი, ამ დროს მიწის და ფულის პატრონები სცხოვრობენ განცხრომაში და ამაყნი, წელში გამართულნი, დასცურავენ კმაყოფილებათა ზღვაში. როდესაც პირველთ ნატისუსალი ასდით და კანისა და ძვლების მეტი არა ახადიათ-რა, უკანასკნელნი აღარ ეტევიან კანში სისხლის და ხორცის გადამეტებულობით და ჰყარან კეთილდღეობისაგან. როდესაც ერთი უმთავრესი ნაწილი კაცობრიობისა პირუტყულს მდგომარეობაში ჩავარდნილი სილატაკისა გამო, მეორე, მცირე

ნაწილი, ძვლებამდის გარყვნილია მეტის-მეტი სიმდიდრისაგან. ერთს მხარეს ღუპავს უდიერი, უღმობელი შრომა და სილატაკე, მეორეს ცუდაობა და სიმდიდრე.

სოციალისტებს სურთ კაცობრიობა გამოიყვანონ ამ გვარ გარყვნილ მდგომარეობიდან. იმათ სწადიან განსაზღვრონ, შეასუსტონ და გააუქმონ ეკონომიური კონტრასტი, ნივთიერობითი უთანასწორობა. ისინი მოწადინებული არიან მოსპონ ერთი მხრივ დამჩაგვრელი სილატაკე, მეორე მხრივ გამრყვნილი სიმდიდრე და დაამყარონ ქვეყანაზედ საყოველთაო თანაბარი კეთილდღეობა. ამ მიზანის მისაღწევად მათ სურთ გამოიყენონ შრომა მონობიდან, მეუფობა ჩამოართვან კაპიტალსა და ჩააბარონ იგი შრომასა. მაგრამ რა გზით?

ზოგი სოციალისტთაგანი დარწმუნებულია, რომ ეს სანატრელი ცვლილება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ძალ-დატანებით, თოფ-იარაღის ხმარებით, რევოლუციის შუამავლობით, ხალხი უნდა აჯანყდეს, აღსდგესო და ძალით დაისაკუთროს მიწაც და ფაბრიკებიც, რომელნიც მისი ოფლით, მისი შრომით აქვთ შეძენილი მემამულეებს და მეფაბრიკეებსო. სხვანი უარს ჰყოფენ სისხლის მღვრელს გზასა, ცვლილებისაკენ მიისწრაფიან მშვიდობიანი ღონისძიებით, ქადაგობენ სოციალურს სწავლასა, ამტკიცებენ, რომ სახელმწიფომ უნდა შემწეობა აღმოუჩინოს და შეასყიდვინოს გლეხებს მიწა-წყალი და მუშებს ფაბრიკებიო. ერთი სიტყვით, ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ უმეტესობა დააჯერონ თავის აზრის სამართლიანობაში, სარგებლობაში და ამ უმეტესობას მოახდენინონ ძირეული ცვლილება საზოგადო წყობილობაში სისხლის დაუღვრელად. წინეთ სოციალისტები მცირე რაზმს შეადგენდნენ და მათ თითქმის მთელი საზოგადოება ძალიან ავის თვალთ უცქეროდა. ეხლა-კი მათმა რიცხვმა ისე იმატა, რომ მთელი ევროპის სახელმწიფონი მოფენილნი არიან სოციალისტებითა, ზედგავლენა მათი ისე გამლიერდა, რომ მრავალნი მომხრენი ჰყავთ თვით მდიდართა წოდებაში. საქმე იქამდინ მივიდა, რომ ბოლო ჟამს დაწინაურებულნი სახელმწიფო პირნიც ამკარად აღიარებენ საფუძვლიანობას და სამართლიანობას ბევრის მათი სწავლისას. საქმე უფრო შორს მიდის. თვით სახელმწიფო პირნი ცდილობენ ახლავე სისრულეში მოიყვანონ ზოგიერთი მოთხოვნილებანი სოციალიზმისა. ამ სახელმწიფო პირთა შორის პირველი ადგილი დაიჭრა ინგლისის პირველმა მინისტრმა გლადსტონმა, რომელმაც თავისი საირლანდიო ბილლით სოციალიზმის მნიშვნელობა და უფლება აღიარა.

გლადსტონის ბილლი იმისთანა აქტია, იმისთანა რეფორმაა, რომელიც თითქმის ახალს პერიოდს, ახალს ხანას უქადის კაცობრიობას. მეტადრე დიდი მნიშვნელობა აქვს ერთს მუხლსა, რომელიც წმინდა სოციალური თვისებისაა. ეს გახლავთ ის მუხლი, რომელიც ვალად სდებს სახელმწიფოს ორას მილიონამდი ფული მისცეს იმ კომისიას, რომელიც დაინიშნება მემამულეების და მეღალე გლეხების საქმეების გამგებლად, იმ მიზნით, რომ კომისიამ ამ ფულით გამოისყიდოს ღორდებისაგან მამულეები, პატარ-პატარა ნაჭრებად დაჰყოს და დაურიგოს გლეხებს იმ პირობით, რომ ჯეროვანი ფული მათ კომისიას დაუბრუნონ წვრილ-წვრილად, შეღავათით, ოცდახუთმეტი წლის განმავლობაში.

ცხადია, რა შედეგი უნდა ჰქონდეს ამ მუხლის აღსრულებას, განხორციელებას. მისი მეოხებით ახლო მომავალში ირლანდიის გლეხობა მესაკუთრე შეიქნება იმ მამულეებისა, რომლებშიაც იგი ეხლა ოფლსა ღვრის ღორდების გასამდიდრებლად. იგი სამუდამოდ დაახწევს თავს იმ ეკონომიურ

მონობას, რომელმაც ნიჭიერი და მხნე ირლანდიის ხალხი მიწასთან გაასწორა და დაადგება ახალის ცხოვრების გზასა.

ისიც ცხადი უნდა იყოს, თუ რა ზეგავლენა ექნება ამ აქტსა, ამ რეფორმას ბუჟუაზიულ წყობილებაზედ ევროპაში. მუშების მდგომარეობა ევროპაში ისეთივე უსიხარულო და გაჭირვებულია, როგორც ირლანდიის გლეხობისა. აქაც მეფაბრიკეებს ისე ჰყავთ მუშები დამონავებული, როგორც ლორდებს ირლანდიის მეღალე გლეხები. აქაც კაპიტალი ნაწარმოებიდგან ირჩენს თავის საკუთრად ლომის ნაწილსა და შრომას-კი ჩიტის კერძსაც ძლივს არგუნებს ... მიზეზი და წყობილება ერთია, შედეგიც ერთი და იგივე მოსდევს ორსავე ადგილს. სენი ერთია, წამალიც ერთი უნდა იქნას ხმარებული.

ამიტომ, რაკი ირლანდიაში მოსპობენ საზოგადო სენს გლადსტონის წამლის მეოხებით, მთელს ევროპაში მოითხოვენ, რომ ეს წამალი აქაც ნახმარი იქმნას, აქაც მალამოდ დაედოს ხალხის ტკივილს და კვნესას. ეს მოხდება მით უმეტეს, რომ ამ წამალს დიდი ხანია ურჩევდნენ სოციალისტები მუშების საქმის წალმა დასატრიალებლად. არ გავა დიდი ხანი ირლანდიის რეფორმის სისრულეში მიყვანის შემდეგ, რომ მაგალითად, საფრანგეთის პარლამენტს წარუდგება ამ გვარი წინადადება: დაინიშნოს სახელმწიფო კომისია, რომელსაც ჩაბარდეს გამგეობა მეფაბრიკეებისა და მუშების საქმეებისა, მიეცეს ამ კომისიას რავდენიმე ასეული მილიონი მანეთი გამოსასყიდლად ფაბრიკებისა, რომელნიც მან უნდა ჩააბაროს მუშების ამხანაგობათა იმ პირობით, რომ ამ ამხანაგობათ დახარჯული ფული დაუბრუნონ კომისიას ცოტ-ცოტათი რავდენიმე ათი წლის განმავლობაში. და პარლამენტი იძულებული იქნება მიიღოს ეს წინადადება და მმართველობას ჩააბაროს მისი სისრულეში მოყვანა. ამ გვარი მომავალი ფაბრიკანტებს, ბურჟუაზიას, რასაკვირველია, საშინლად არ ეპიტნავენათ და ამიტომაც ზომიერ რესპუბლიკურ გაზეთებმა, რომელნიც ბურჟუაზიის სიკეთეს ემსახურებიან, ხმა აიმაღლეს გლადსტონის ბილლის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც რადიკალური გაზეთები სიხარულით მიეგებნენ მას.

რასაკვირველა, არავინ არ მოელის იმასა, რომ მოკლე ხანში შეეძლოთ სახელმწიფოებს ყველას მამულ-დედული და ფაბრიკები გამოისყიდონ ეხლანდელ პატრონებისგან და მშრომელ ხალხს გადასცენ საკუთრებად და საზიაროდ; ამ ცვლილებას მილიონები კი არა, მილიარდები მოუნდება, მაგრამ ამაში კი ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რაკი ამ საქმეს კარგი, საფუძვლიანი დასაბამი მიეცემა, უთუოდ ბოლომდე ივლის. ხომ მოგეხსენებათ, წინდას რომ ცოტა თავი მოარღვიო, ივლის, ივლის და მთლად დაირღვევა. ასევე უნდა ვსთქვათ სოციალურს ცვლილებებზედაც.

ეხლა საქმე იმაშია, გაიმარჯვებს გლადსტონის ბილლი თუ იგი უარყოფილი იქნება ხმის უმეტესობით ინგლისის პარლამენტში?

რომ ზრძოლა იქნება ცხარე, ამას ბევრი ნიშნები გვიჩვენებს. ბილლის წინააღმდეგობა გამოაცხადეს არა მარტო კონსერვატორებმა, არამედ ზოგიერთმა ლიბერალებმაც. თვითონ სამინისტროს წევრი, ამხანაგი გლადსტონისა, აგრაილი არ დასთანხმდა ბილლზედ, უარჰყო იგი და სამინისტროდგან გამოვიდა. მის კვალს გაჰყვება არა ერთი ლიბერალი.

მაგრამ გამარჯვება ბოლოს და ბოლოს მაინც უეჭველია. ამაში გვარწმუნებს ჯერ ის გარემოება, რომ მინისტრთა რჩევა შესდგება მხნე, გამბედავი და შეუპოვარი პირებისგან, რომელთა ნახევარი რადიკალების დასს ეკუთვნის.

ვინიციობაა ლორდების პალატა გაჯიუტდა და ბილლის მიღების შესახებ უარზედ დადგა, სამინისტროს შეუძლიან ერთბაშად ინგლისის მეფეს იმდენი ახალი ლორდი დაანიშნინოს თავის მომხრეთგან ზემო პალატაში, რავდენიც საჭიროა ხმის უმრავლესობის შედგენისათვის. მეორე გარემოება გახლავთ ირლანდიის მრისხანე მდგომარეობა. მთელი ერი, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ყმაწვილი, ქალი თუ კაცი ერთი აზრით არიან აღვსილნი, ერთს მიზანს ადგიან, ერთი ნატვრა აქვთ: გლეხების განთავისუფლება ლორდების მონობისგან. უწინაც მოხდებოდა ხოლმე ირლანდიაში მოძრაობა, მაგრამ ერთი პირი არა ჰქონდა ხალხსა. ბევრი ირლანდიელი პირადი ინტერესის გამო ემორჩილებოდა ინგლისელებს და თავის ხალხს ღალატობდა, ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც ინგლისი ადვილად ეუბნებოდა უარს ცვლილებაზედ, გაუკეთესობაზედ ამჟამად კი ირლანდია სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს. მთელს ხალხს ერთი პირი აქვს და ერთხმად ითხოვს რეფორმას ინგლისისაგან. რაც გლეხობას სწადიან, მასვე ბანს აძლევს სამღვდელოება, რასაც ლიბერალები თხოულობენ, იგივე უნდათ კონსერვატორებს, რისთვისაც შეუპოვრად იბრძვის პარნელი, მასვე მხურვალედ თანაუგრძნობს მისი მოხუცებული დედა და აღტაცებით ეგებება მისი ნორჩი და. თუ ამას დავუმატებთ გონიერს, მაგარს ორგანიზაციას საადგილ-მამულო ლიგისას, მაღალ-ნიჭიერს, გამოცდილ და შეუპოვარ მოთავეებს, წინამძღოლებს, მაშინ ჩვენ ცხადად დავინახავთ, თუ რამდენად უნდა ეშინოდეს ინგლისს უარის თქმისა სოციალურ ცვლილებაზედ. ეს შიში პირ-და-პირ გამოაცხადა გლადსტონმა პარლამენტში, როდესაც წარმოსთქვა: ბილლის მოწინააღმდეგეებს კარგად უნდა ესმოდეს, რომ ისინი კისრულობენ პასუხის გებას ქვეყნის წინაშე საზარელი შინაური ომის ატეხისას.

ინგლისს არა ერთხელ დაუმტკიცებია, რომ მას კარგად ესმის ის ბრძნული აზრი, რომელიც გამოიხატება ქართული ანდაზით: ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო და ამიტომ ირლანდიას იგი ნებით ჩაჰყვება, რომ ძალით არ იქნას ჩათრეული.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა: მაია (მაშო) გოგოლაძემ

თბილისი

13 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში

